პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საქართველოს კლიმატის პროგრამა (GEO-CAP): სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში



განხორციელების ვადა: 01.01.2021 - 31.12.2024

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 1 000 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 1 112 595

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Caucasus Environmental NGO Network

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/ThinkNaturally

პროექტის ვებსაიტები: cenn.org

პროექტის აღწერა:

პროექტი ევროკავშირის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“ პროგრამის ნაწილია. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით, პროექტი ხელს უწყობს ეროვნული და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერებისა და გააქტიურების პროცესს, კლიმატის სამოქმედო რეგიონული ჯგუფებისა და კლიმატის ეროვნული პლატფორმის შექმნისა და სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ნდობისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბების გზით.

პროექტი გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის და კახეთის რეგიონებში მუშაობს და ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციებს კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლასა და პოლიტიკის თანამონაწილეობრივი დაგეგმვის პროცესში ეფექტიანი ჩართულობის ხელშეწყობის კუთხით გაძლიერებაში ეხმარება. კლიმატის სამოქმედო რეგიონული ჯგუფები და კლიმატის ეროვნული პლატფორმა ხელს უწყობენ სამოქალაქო საზოგადოების კონსტრუქციულ ჩართულობას კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. პროექტი მუშაობს ადგილობრივ და ეროვნულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ასევე, ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობებთან და სხვადასხვა სათემო და ახალგაზრდულ ჯგუფებთან.

მოსალოდნელი შედეგები:

1. კლიმატის ცვლილების სფეროში მონაწილეობის გაუმჯობესებული მექანიზმები;
2. მტკიცებულებებზე დაფუძნებული და თანამონაწილეობრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ხელშეწყობა კლიმატზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებისას;
3. კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის გაძლიერებული ზომები და ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს უკეთ დაცვა კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციასა და/ან მისი შედეგების შერბილებაზე ორიენტირებული ინოვაციური პროექტების განსახორციელებლად მესამე მხარეებისთვის ფინანსური დახმარებისა (ქვე-გრანტები) და შესაძლებლობების გაძლიერების უზრუნველყოფის შედეგად;
4. კლიმატის ცვლილებისა და მისი უარყოფითი ზემოქმედებების წინააღმდეგ ბრძოლაში სამოქალაქო საზოგადოების როლის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გაზრდა